



„გახსოვდეს უნდა გოგონას ხანი!“

გვარი და ცრადიცია

9 (35)

საქართველო 2016 წ.

საქართველოს საგვარეულოთა კავშირის „გვარი და გვარიშვილობის“ სრულიად საქართველოს გვარის წინამძღოლთა დარბაზის საბჭოს გაზეთი

24 სექტემბერი 300 არაგველების ხსენების დღეა

24 სექტემბერს კრწანისის მემორიალთან გაიმართა 300 არაგველის ხსოვნისადმი მიძღვნილი ზეიმი.

ზეიმში მონაწილეობდნენ საპატრიარქოს, ქალაქის საზოგადოებისა და საგვარეულოთა კავშირების წარმომადგენლები. ზეიმს ესწრებოდნენ ქ. თბილისის მერი დავით ნარმანია, ბატონიშვილი ნუგზარ ბგრატიონ-გრუზინსკი.

მეუფე ანდრია მ (გვაზავა) გადაიხადა პარაკლისი. 300 არაგველის მოსაგონარი აღინიშნა პურ-ღვინით. დასასრულს ქ. თბილისის მერიის ინიციატივით გაიმართა კონცერტი.



გვარიშვილები გვარიშვილთა ხეივანში

11 სექტემბერს მოწყობა შაბათობა მახათას მთაზე გვარიშვილთა ხეივანში. შაბათობაში მონაწილეობა მიიღეს ნადირაშვილების, მაისურაძეების, შონიების, ლეკვეიშვილების, ბინაძეების, ლაბაძეების, მთვარელაშვილების, ბურდულების გვარების წარმომადგენლებმა.

გაინმინდა ნაკვეთის მნიშვნელოვანი ნაწილი, მოუარეს ნარგავებს, შემობარეს და მორწყეს.

მოვუწოდებთ სხვა გვარის წარმომადგენლებს ვისაც აქვთ დარგული ზეთისხილის ხე, მივხედოთ მათ.



კვარცხელიაზის სავარეულო კავშირებზე

საქმიანობა განახლდა



სავარეულოთა კავშირის „გვარი და გვარიშვილობა“ დელეგაცია ყრილობაზე



14 ოქტომბერს ქ. ნალენჯისში ჩატარდა კვარცხელიების სავარეულო კავშირის ყრილობა, დევიზით „გვარი, ეროვნული ღირსების აღსადგენად“.

ნალენჯისის სპორტის სასახლის დარბაზში თავი მოიყარეს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებმა გვარიშვილებმა.

განული მუშაობის შესახებ ინფორმაციები გააკეთეს გამგეობის წევრებმა ბატონებმა ანზორ და მურმან კვარცხელიებმა. სავარეულო კავშირის სამოქმედო გეგმებზე, საქმიანობის ძირითად

მიმართულებებზე და ამოცანებზე მოხსენება გააკეთა ბატონმა თემურ კვარცხელიამ. კამათში მონაწილეობა მიიღო თხუთმეტმა მომხსენებელმა. ყრილობამ აირჩია დარბაზი და გვარის წინამძღოლი. კვარცხელიათა გვარის წინამძღოლად არჩეულ იქნა ბატონი თემურ კვარცხელია.

ყრილობას ესწრებოდნენ სრულიად საქართველოს გვარების წინამძღოლთა დარბაზის საბჭოს და საქართველოს სავარეულო კავშირის „გვარი და გვარიშვილობის“ გამგეობის წევრები, ბატონები ვაჟა ნადირაშვილი, თენგიზ

მაისურაძე, ნინო სულამანიძე, ოთარ შონია, თამაზ ჩიხლაძე, მარატ კიტოვანი, თემურ ლაბაძე.

სიტყვით გამოვიდნენ და სავარეულოთა კავშირის „გვარი და გვარიშვილობის“ სახელით ყრილობას მიესალმნენ ვაჟა ნადირაშვილი და თენგიზ მაისურაძე.

ყრილობა მიმდინარეობდა ბავშვთა მოცეკვავეთა ანსამბლის საცეკვაო ნომრების თანხლებით.

ყრილობის მუშაობამ გასტანა ოთხსაათნახევარი. დასასრულს გაიმართა ბანკეტი.

ვაჟა ნადირაშვილის სიტყვა

ბატონებო და ქალბატონებო!

მოგესალმებით ჩემი გვარის ნადირაშვილთა სავარეულო კავშირის სახელით.

მოგესალმებით სრულიად საქართველოს გვარების წინამძღოლთა დარბაზისა და საქართველოს სავარეულოთა კავშირის „გვარი და გვარიშვილობის“ სახელით.

დღევანდელი შეკრება არამარტო კვარცხელიათა გვარის, არამარტო ადგილობრივი მნიშვნელობის ღონისძიებაა, არამედ მთელი საქართველოს, ყველა გვარის ღირსესანიშნავი მოვლენაა.

საქართველო გვარების ქვეყანაა, მასზედ ეფუძნება სახელმწიფოს სიძლიერე. გვარიშვილობა და ოჯახი არის ქართველი კაცის სიამაყის სიმბოლო. თქვენ ამ თავყრილობას მთელი საქართველო უერთდება.

ამიტომ აქ ესწრებიან მაისურაძეების, შონიების, სულამანიძეების, ლაბაძეების, ჩიხლაძეების და კიტოვანების გვარების წინამძღოლები.

კვარცხელიების გვარი ჯერ კიდევ გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლებიდან იდგა სავარეულო მოძრაობის სათავეში. საქართველოს სავარეულო კავშირი „გვარი და გვარიშვილობა“ 2004 წელს დაფუძნდა ოფიციალურად და მისი ერთ-ერთი დამფუძნებელი და გამგეობის წევრი გახლდათ ბატონი გრამიტონ კვარცხელია. დღია მისი ღვაწლი სავარეულო მოძრაობაში. ბატონი გრამიტონი სამწუხაროდ გარდაცვალების შემდეგ დაჯილდოვდა კავშირის „გვარი და გვარიშვილობის“ საპატიო სიგელით. იგი გადაეცემა მის ოჯახს მისი საქმეების უკვდავსაყოფად.

დღეს კავშირს ხელმძღვანელობს ბატონი გრამიტონის თანამოაზრე და თანამებრძოლი, ისტორიკოსი-ეთნოგრაფი, პროფესორი ლევან ფრუიძე. იგი ჯანმრთელობის გამო ვერ ესწრება თქვენს შეკრებას, გესალმებათ და გილო-



ცავთ კავშირის აღორძინებას.

ჩვენი საქმიანობის მიზანია ქართული ეროვნული ტრადიციების აღორძინება, დედაეკლესიის გაძლიერება, ეკლესიების აღდგენა და მოვლა-პატრონობა, სოფლების აღორძინება, ქართველი გლეხის, ქართველი მუშის მხარდაჭერა.

თავისი არსებობის მანძილზე კავშირმა 700-ზე მეტი სავარეულო კავშირი დააფუძნა. კავშირის ადგილსამყოფელია ქ. თბილისის საკათედრო ტაძარი. სავარეულო კავშირების სიმრავლემ წარმოშვა საჭიროება უფრო დიდი გაერთიანების შესაქმნელად. 2011 წლის 3 ივლისს სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორის მონაწილეობით და ლოცვა-კურთხევით შეიქმნა გვარების წინამძღოლთა დარბაზი, რომელიც ყოველი თვის პირველ ორშაბათს სისტემატიურად იკრიბება სამეზობლო ახალგაზრდული ცენტრის დარბაზში. გვარების წინამძღოლები მსჯელობენ ქვეყნის საჭიროებებზე. გამოდის გაზეთი „გვარი და ტრადიცია“. ყოველ ხუთშაბათს საპატრიარქოს

ტელევიზია „ერთსულოვნებაში“ შუადღის გადაცემაში გვარები მოგვითხრობენ თავიანთი საქმიანობის შესახებ. ამით გვარები ახდენენ საკუთარი საქმიანობის პოპულარიზაციას, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას და ამყარებენ კონტაქტებს.

ორგანიზებულად ვმონაწილეობთ 24 სექტემბერს 300 არაგველის ხსენების დღეს კრწანისის ველზე გამართულ ზეიმში, ასიათასი მონამის ხსენების დღეს მეტეხის ხიდთან. 25 აგვისტოს ვიყავით ბათუმში აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნების 138-ე წლისთავზე. მახათას მთაზე შევექმნით გვარიშვილების ზეთისხილის ხეივანი. სამმა დიდმა გვარმა გელაშვილებმა, ბერიძეებმა და მაისურაძეებმა სამეზობლო საკათედრო ტაძრის ეზოში პატრიარქის ხელმძღვანელობით დარგეს სამი მუხა, საქართველოს ერთიანობის სიმბოლო. ვაყენებთ საკითხს გუბერნატორებისა და გამგებლების წინაშე მიტოვებული სოფლების აღდგენისათვის.

ამდენად კავშირი „გვარი და გვარიშვილობა“ აქტიურად არის ჩართული საქართველოს აღმშენებლობის საქმეში.

იმედია კვარცხელიების სავარეულო კავშირიც აქტიურ მონაწილეობას მიიღებს ამ ღონისძიებებში.

და ბოლოს მინდა ჩემი გამოსვლა დავასრულო კავშირის „გვარი და გვარიშვილობის“ ჰიმნის სიტყვებით:

ქართველნო თქვენს გენს ლოცვა-კურთხევა, ფუძის სიმტკიცე, გვარის მრავლობა, რომ წინაპართა კვალს მიჰყვებოდეს თქვენი ამაყი შთამომავლობა.

დავდგეთ იქ სადაც გვარიშვილობა აღორძინდება მთიდან ბარამდე და საქართველო კვლავაც გვეხილოს ნიკოფსიიდან დარუბანდამდე.

ღვთისმშობლობის აღნიშვნა ოლოზის ღვთისმშობლის შობის სახელობის ეკლესიაში

ამა წლის 21-სექტემბერს, ღვთისმშობლის შობის დღესასწაულზე სრულიად საქართველოს მაისურაძეთა საგვარეულო კავშირის აქტივი, კავშირის საპატიო თავმჯდომარის ომარ მაისურაძის თაოსნობით, მოსალოცად ეწვია გორის რაიონის სოფელ ოლოზის ღვთისმშობლის შობის სახელობის ეკლესიას.

სოფელ ოლოზის ღვთისმშობლის შობის სახელობის ეკლესია მდებარეობს ატენის ხეობაში და შედის გორისა და ატენის ეპარქიის შემადგენლობაში. ეს ეკლესია დაახლოებით მე-10 საუკუნის პერიოდს განეკუთვნება. მისი აღდგენა-რესტავრაცია ძირითადად დაფინანსდა გორის ეპარქიის მიერ, მის აღდგენაში ასევე დიდი წვლილი შეიტანეს დაძმა თინათინ,

მერი, დალი, ზურაბ მაისურაძეებმა და ქ.გორის მოქალაქე გია ასკილაშვილმა. აღდგენილი ეკლესია, 2015 წლის 4 ოქტომბერს, აკურთხა გორის და ატენის მიტროპოლიტმა ანდრიამ (გვაზავა). ამ დღეს ოლოზის ეკლესიაში წირვა აღავლინა ეკლესიის მოძღვარმა მამა ირაკლი ცუცქერიძემ. წირვაზე მან მოიხსენია ბეთანიელი ბერები-წმინდა იოანე (მაისურაძე) და წმინდა გიორგი-იოანე (მხეიძე) აღმსარებლები, რომელთა ხსენების დღე ასევე 21 სექტემბერია. მამა ირაკლიმ თავის ქადაგებაში აღნიშნა ამ ორი წმინდა ბერის ღვაწლი და დამსახურება საქართველოს მართმადიდებელი ეკლესიის წინაშე.

თინათინ მაისურაძე



თემურ შურსიძე - 70

მან ჩამოაყალიბა ფეხბურთის გუნდი, რომელმაც თბილისის ჩემპიონობა მოიპოვა, ჩამოაყალიბა ჯაზ-ორკესტრი და დრამწრე, რომელსაც გურამ ქარქაშაძე ხელმძღვანელობდა.

1979-1981 წლებში თემურმა მოსკოვში დაამთავრა

მისით, ლამაზი და კეთილია.

გოლიათის აღნაგობის, მეოჯახე შესაშური, კიდევ ერთხელ ვიმეორებ მსოფლიოში ერთი არის.

გისურვებდი ჩემო თემო,

„დინამოს“ ბერძნულ-რომაული სტილის ნაკრებმა, რომლის შემადგენლობაში თემურ ქურციკიძეც გამოდიოდა ქ.სოფიაში ევროპის ჩემპიონთა თასი მოიპოვა.

1967 წელს საბჭოთა კავშირის ქალაქების გუნდურ პირველობაზე თბილისი-ლენინგრადის (სანკტ-პეტერბურგის) შეხვედრისას გადამწყვეტი ორთაბრძოლა თემურმა მოიგო და თბილისის გუნდი ჩემპიონი გახდა. იმ დროს მათი მწვრთნელი ლეგენდარული გივი კარტოზია იყო.

სამსახურებრივი გზა გაიარა დიდუბის, ისნის, საბურთალოს, კრწანისისა და გლდანის რაიონების საკუთრების

მონარდეთა ტურნირზე. 1995-2000 წელს მოიგო თბილისის პირველობა. ამჟამად იგი საქართველოს ნარდის ფედერაციის პრეზიდენტი.

ბედნიერი გამოდგა მისთვის 1966 წლის ზაფხული. მეორე საწვრთნელო შეკრებაზე ლესელიძეში გაიცნო კალათბურთის ნაკრების წევრი წყალტუბოელი ლეილა კვიციანი და მათ ბედი ერთმანეთს დაუკავშირეს. ასე შეიქმნა თბილი და მტკიცე სპორტული ოჯახი, რომელიც დღეს ოქროს თარიღს ქორწინების 50 წელს აღნიშნავს.

დიდ და ლამაზ გზაზე რამდენი რამე მოასწრეს _ ორი შვილი, ოთხი შვილიშვილი და



დაიბადა 1946 წლის 17 სექტემბერს ქუთაისში შოთა ქურციკიძის და გუგული შავგულიძის ოჯახში. აქვე საფიზხიაზე დაამთავრა მეხუთე საშუალო სკოლა.

ჩხირივით გამხდარმა ბიჭმა თემურმა კუნთების გასამაგრებლად ტანვარჯიშზე დაიწყო სიარული.

მისი ძმა შაკო ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ცნობილ მწვრთნელ ილია ბობოხიძესთან ვარჯიშობდა. ექვსი თვის შემდეგ თემურიც მის კვალს გაჰყვა.

1964 წელს თემური საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებში აიყვანეს ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში.

თემურმა თბილისში პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში ისტორიის ფაკულტეტზე ჩააბარა მისაღები გამოცდები.

აქტიურმა სპორტსმენმა საზოგადოებრივ საქმიანობაშიც გამოიჩინა თავი. ცნობილმა პარტიულმა მუშაკმა, შემდგომ კი საქართველოს ეროვნულმა გმირმა ჟიული შარტავამ თემურს 1969-1973 წლებში გაერთიანებული სტუდენტთა საბჭოს (სტუდენტალის) თავმჯდომარეობა მიანიღო.

საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია. თუ რა სიტბო და სახელი დატოვა აკადემიაში, ამაზე კათედრის უფროსის პოლკოვნიკ სტანისლავ სტეპანოვის გულწრფელად დაწერილ ლექსშიც კარგად იგრძნობა, რომელიც დაბადების დღეზე გამოუგზავნა.

გთავაზობთ ამ ლექსის ქართულ თარგმანს:

მთელ სამყაროს გასაგონად ასჯერ ვიტყვი ის რაც არი: თეიმურაზ ქურციკიძე ძვირფასია მეგობარი.

მეგობრებოთ გარშემორტყმულს სიყვარული არ აკლია, უყურეთ და დატკბით

რომ შენ დაბადების დღეს იქეიფე მეგობრებში და კახურით დაილოცე.

ოჯახში ბედნიერება მუდამ მტკვარივით დიოდეს ლეილას, კახას და ლალის სიყვარულობით ჰყვაროდე.

აკადემიაში სწავლისას ძიულშიც მოსინჯა ძალა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სამსახურის დროს კი სამბოშიც გამოდიოდა. იგი „დინამოს“ საკავშირო პირველობის, მათ შორის სპარტაკიადის ხუთგზის ჩემპიონია (1965-66-69-71-73 წლებში), აგრეთვე საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი, შესრულებული აქვს საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივი.

1973 წელს საქართველოს



ეთერ კაკულიას გადასცემს გამარჯვების პრიზს

დაცვის უფროსოს თანამდებობებზე. თბილისის არასაუნეებო დაცვის სამსახურის მოადგილედ, ნაძალადევის რაიონის გაერთიანებული დივიზიის მეთაურის მოადგილედ.

ოთხმოცდაათიანი წლებიდან კი თავისი ბედი მტკიცედ დაუკავშირა ნარდს. შექმნა კლუბი „შევარდენი“. 1999 წელს გაიმარჯვა სპორტის სასახლის პრიზზე გამართულ

ხუთი შვილთაშვილი.

თემურ ქურციკიძე დღეს დროებით ასრულებს გვარის წინამძღოლის მოვალეობას. შემდგომ კი ქურციკიძეთა გვარს მისი ქალიშვილი ლალი უწინამძღოლებს.

ვულოცავთ თემურს ამ ორ ღირსესანიშნავ თარიღს დაბადებიდან 70 წელს და ქორწინებიდან 50 წლის იუბილეს.

პაპა ნაღირაშვილი

ფუძის ანგელოზი კვემანის

ერთ კი შთბლიურ ფუძისან ჩვენი ანგელოზის წესით და სულიერო წყობით შეიქმნა კი ფუძის ანგელოზის ძახილს? ყოველი ჩვენი უნდა დაუბრუნდეს შთბლიურ საყვირებს, ამბის ხანას, კერძის - თაყის ფუძეს. ეს დაბრუნება სულიერო შთბლიურ საყვირებსა და სულიერო შთბლიურ საყვირებს.



წმიდა მთავარანგელოზი გაბრიელი

გვთხოვს, რადგან ვინაა, ანუ „ფუძე“, უფალი ჩვენი ერთი უნდა ვინაა, ანუ ფუძე ყოველმან და დღისმთელი კუნთისა, ანუ ფუძე დღისმთელი წმიდა ნიჭის კუნთს გვინდა ფუძის გვინდა, რადგან თანეს მხარე ვუბრუნებ საყვირებს მართლმადიდებელი ეკლესია.

სწორედ ამ ფუძისა კენ მოუხმობთ უსწორობაში, უსამართლობაში ფუძეს დაამარცხო შედეგს საყვირების ეკლესიისა.




1757 წელს იმერეთის მეფე სოლომონ I-მა სასტიკად დაამარცხა ოსმალეთის ხონთქრის ლაშქარი. შემოსევის საბაბი იყო ტყვეებით ვაჭრობის აკრძალვა.




ბრეგაძეების გვარის პიძნი

ვევლა ნიჭზე ძლიერია
ქვეყნის დაცვის ნიჭი
გალაქტიონი

„ბრძანებების გვარის მფარველი მთავარანგელოზისა და სხვის“



მაღალი და ძლიერი ხმის მქონე
გლეხი ყოფილა ეული,
როცა ხრესილთან მომდგარა
მტერი, სისხლის სმას ჩვეული.
ეცნენ და მტერი განდევნეს,
მოსული ბილწად, ავსულად,
მაგრამ მანამდე ის გლეხი
უშიშრად ხის წვერზე ასულა.
და როცა მტერმა ძლეულმა
გზა - გზა ფარხმალი დაყარა,
მან გამარჯვება სოლომონს
ხის კენწეროდან ახარა.
რისთვისაც „მეფემ ბრეგაძეს ტახტის
აზნაურობა უბოძა“.
სიხარულით მაშინ გლეხმა
მოადინა ბრეგა ძირსა
ამ ბრძოლაში წარმოჩენილა
გვარ - ჯილაგი ბრეგაძირსა.



ჩავიწერე ი. ახალაძისგან, 72 წლის, პენსიონერი.
გიორგი ბრეგაძე,
სამტრედიის რაიონის სოფ. ნოდის საჯარო სკოლის
XII კლ. მოსწავლე

გამოყენებული ლიტერატურა: თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის
ეროვნული სასახლის გაზეთი „გაზაფხული“. 2008 წელი №9.
ამოკრიბა ნანი ბრეგაძემ (ბრეგაძეთა საგვარეულო კავშირის თავმჯდომარემ).

ინფორმაციისთვის შეგიძლიათ დაუკავშირდეთ:
ნანი ბრეგაძეს ტელ: 595-74-14-00

უნიკალური შემოქმედ მხარში დგომა საქირიოზა

ნელი ბერაია უნიკალური ფენომენია. მის მიერ ბისერებისა და ძვირფასი თვლებით შექმნილი პორტრეტები და ნატურმორტები მნახველზე მომავადოებელ შთაბეჭდილებას ახდენს. მისი შემოქმედება მსოფლიო საგანძურს მიეკუთვნება. ჩვენი ნათქვამის საილუსტრაციოდ შემოგთავაზებთ, რამდენიმე ამონაწერს ხელოვანის შთაბეჭდილების ნიგნიდან.

სახალხო არტისტი ომარ მხეიძე - ბედნიერია ქართველი ერი, სადაც ასეთი უნიკალური მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული მანდილოსანი დაიბადა. მან საოცარი ფერები შექმნა, უკვდავი ისტორიული შედეგები.

ჯუმბერ ლეჟავა - მთელი პლანეტა შემოვიარე, არც ერთ ქვეყანაში, არც ერთ ხელოვნების მუზეუმში, როგორც ისტორიული, ისე თანამედროვე ნაკეთობათა შორის, მსგავსი შედეგები მე არ მინახავს.

ჯემალ მონიავა - საქართველო სასწაულების ქვეყანაა. ეს ნამუშევრები უცხო ხელოვანს სხვა ქვეყნიდან რომ ჩამეტანა თბილისში, წარმოუდგენელი აუცილებელი ატყდებოდა და ყველაფერს პირ-

მნიდან დაიტაცებდნენ, მაგრამ მოგვხსენებათ, საკუთარ ქვეყანაში ცოცხალ ხელოვანს ფასი არ აქვს...

ერეკლე სალიანი - მართლაც, განსაკუთრებული ნიჭით უნდა იყო დაჯილდოებული, რომ საგანი შენს სათქმელს შეუფარდო და მას ფერის ფუნქცია მიანიჭო.

ქალბატონი ნელი ამკვიდრებს საქართველოს ისტორიას, მისეულ განცდას „მშვიდმნათობიერი“, თამარის ფერხითი განთხმული რუსთაველიც საოცრად ემსგავსება ჩვენს მიერ წარმოდგენილს.

ნეფერტიტის ხატ-სახე კი შორს მიმავალ კავშირზე მიგვანიშნებს. ის ისევე აღიქმება ეგვიპტის სიმბოლოდ, როგორც ჩვენთვის თამარი. ყოველი გალამაზებული დღე მშვენიერებასთან ზიარებაა. ქალბატონმა ნელი ბერაიამ დღეს მე მისხნა, ერთი უფერული დღისაგან.

საქართველოს სახალხო მხატვარი ნელი ოქროპირიძე - ალტაცებული ვარ თქვენი ნიჭით, მოთმინებით და გამომგონებლობით, ეს ისეთი ნამუშევრებია, რომელიც საუკუნეებს გაუძლებს.

აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი

წვერი გულიკო გუდავაძე - თქვენმა უნიკალურმა შემოქმედებამ კიდევ ერთხელ მათქმევინა: დიდება ქართულ ნიჭს, მადლობა უფალს, რომ საქართველოს ჯერ კიდევ ევლინებიან ზეგარდმო მადლით ნაკურთხი ნიჭის მქონე ადამიანები... აი, სწორედ ეს თქვენზეა ნათქვამი მშვენიერო, ლეთიური ნიჭით მირონცხებულ ქალბატონო, აღფრთოვანებული ვარ!!!

ლიანა ასათიანი - რა ხელმა შექმნა ეს საოცრება. ეს ენით აუწერელი სილამაზე, ვფიქრობ, მსოფლიო უნდა გაავოცოთ ქართული ნიჭიერებით.

ირმა სოხაძე - როდესაც ეს ექსპონატები პირველად ბათუმში ვნახე, პირდაპირ შოკში ჩავვარდი. აღსანიშნავია, რომ ქალბატონი ნელი ბერაია გინესის წიგნში შეიტანეს, როგორც უპრეცედენტო ხელოვანი...

2012 წელს კი საქართველოს ფაზისის საერო აკადემიამ აირჩია ნამდვილ წევრად.

უფლის დიდი წყალობაა ისიც, რომ ნელი ბერაიას ტალანტს განგებამ დაანათლა დიდი სილამაზე, იგი საქართველოს ულამაზეს ქალბატონთა კოჰორტაში მოიხსენიება.

ქალბატონი ნელი ბერაია დღესაც შესაშური ენერჯით ქმნის უნიკალურ შედეგებს.

ხელოვანი მადლიერების გრძნობით არის განმსჭვალული საქართველოს სულიერი მწყემსმთავარის, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია მეორის მიმართ, რომელმაც შეიცნო უბინაოდ დარჩენილი ხელოვანის დიდი ნიჭი და სამების ტაძრის გამოჩენილ მოღვაწეთა სასტუმროში მისცა საცხოვრებელი ფართი.

გულისტკივილით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ქალბატონი ნელი ბერაია დღეს თითქმის უსახსროდ

არის დარჩენილი. მას კი უბრალოდ ხელმოკლეობის გამო, თავისი ტილოების შესაქმნელად გამოსაყენებელი მასალების შეძენის საშუალება კი არ გააჩნია.

ბისერებით და ძვირფასი ქვებით ანუ ამგვარი ტექნოლოგიით შექმნილი ეს ხელოვნება მსოფლიო ცივილიზაციის ისტორიაში უპრეცედენტოა. ნელი ბერაიას ტილოების ხილვისას უნებლიედ გიჩნდება განცდა, რომ ჭეშმარიტი ხელოვნება სიკვდილზე ძლიერია. ჩვენ წავალთ და ის დარჩება.

იქნებ გამოუჩნდეს ვინმე სპონსორი. შეაფასოს, დააფასოს და ხელი შეუწყოს ამ განსაცვიფრებელ

ხელოვნებას და აჩვენოს იგი თანამედროვე მსოფლიოს როგორც ჩვენი ერის კულტურული სახე. მერე ქალბატონ ნელის გაუჩნდება მიმდევრები და ამაშიც პირველები ვიქნებით ქართველები.

ერთ-ერთ ჟურნალში ქალბატონ ნელის ინტერვიუს ასეთი სათაური აქვს: „როცა ცოცხალი აღარ ვიქნები, ქართველები მაშინ დამაფასებენ“.

იქნებ სიცოცხლეშივე დავაფასოთ?

ვინ იცის, იქნებ დადგეს დრო და საქართველომ იამაყოს ასეთი შესანიშნავი შემოქმედით, რომელს ნამუშევრებს მსოფლიოში ანალოგი არ აქვს.

დაჩი თხინვალი

როგორ ითარგმნებოდა „ვეფხისტყაოსანი“ რუსულად

ქეთევან ნუცუბიძე, ნანყვეტი წიგნიდან „შალვა ნუცუბიძე“



შალვა ნუცუბიძე

თარგმანისა.

გამოუთქმელი იყო შალვას სიხარული - პირველად ხედავდა თავის თარგმანს ასე ბრწყინვალედ გაფორმებულს და ისიც სტალინის ხელში, ახლა მიხვდა, თუ ვისთან მიჰქონდათ საპატიმროდან მისი თარგმანი სარედაქციოდ. სტალინი იყო მისი ფაქტიური რედაქტორი.

—გარეკანზე მართო რუსთაველის ბარელიეფი არ კმარა, — ამბობდა სტალინი და ხელში ლურჯი ფანქარი მოიმარჯვა. უნდა ეწეროს თვით ყდაზე, გარეთ, ზევით, რუსთაველი და ქვევით შენი გვარი.

ყდაზე რომ აღნიშნა ეს ყველარი, დაიწყო ილუსტრაციების თვალყურება და ქობულაძის ილუსტრაციებზე შეაჩერა ყურადღება:

—ეს არის ტარიელის შეხვედრა ნესტან-დარეჯანთან ქაჯეთის ციხიდან გამოსხნისას?! კაცო, ეს უგამჩნევო, როგორც იქნა; ამდენი ხნის უნახავ შეყვარებულს შეხვდა და იმის მაგივრად, რომ ალერსიანად შეჰყურებდეს, როგორი მრისხანე გამომეტყველებით მისჩერებია, თანაც ტარიელი მონღოლს უფრო ნააგავს, ვიდრე ქართველს.

გადაფურცლა და იკითხა: —მათრახი რომ გადასცხო ტარიელი მდევრებს, ის სურათი რატომ გამოტოვეთ?

მაგიდაზე იქვე ედო გადაშლილი „ვეფხისტყაოსანის“, ქართული დედანი და მანამდე არსებული ყველა თარგმანი.

—უკანასკნელ ხანამდე, — ამბობდა სტალინი, — მე ვთვლიდი, რომ რუსთაველის საუკეთესო თარგმანის არის პეტრენკოსი, მაგრამ როდესაც გავეცანი თქვენს თარგმანს, მე ვთვლი, რომ იგი არა თუ უკეთესია პეტრენკოსზე, არამედ თავისთავად თვალსაჩინო ლიტერატურული მოვლენაა. მე მხარს ვუჭერ ხატაელთა ბრძოლის ორივე ტაყვს და ხვარაზმელთა ეპიზოდსაც, თუნდაც საეჭვოდ მიაჩნდეთ მკვლევართ მისი რუსთაველისათვის მიკუთვნება. ხალხმა ხომ იგი მიიღო, შეისისხლხორცა, ზეპირად იცის, ამით უფრო გამდიდრდა იგი მხატვრული სახეებით — ეს საკმარისია მის გასამართლებლად და ამიტომ არ მიმაჩნია მართებულად ამ ეპიზოდების ამოღება, პირიქით, შემდეგ გამოცემას შენ უნდა დაურთო ხვარაზმელთა ეპიზოდიც, რასაკვირველია, გარკვეული რედაქციით.

სტალინი გრძნობდა რუსთაველის ლექსის მუსიკალობას, სიტყვათა წყობის ჟღერადობას, რომელიც მოვლენის შინაარსს შეეფერებოდა; ახალგაზრდობაში ხომ თვითონაც წერდა ლექსებს, ვინ არ იცის ის პატარა ლექსი, იაკობ გოგებაშვილის „დედაენას“, რომ ამშვენებს: „ვარდს გაეფურჩქნა კოკორი?... ახლაც იმ

ახალგაზრდული განწყობით რომ იღიმებოდა, უბის წიგნაკი ამოიღო და თქვა:

—მეც ვთარგმნე ერთი სტროფი და აბა, როგორ მოგეწონებათ, ჯერ ქართულად წავიკითხოთ:

სტროფი 1416

"ანაზად ცხენნი გაქუსლეს, მათრახმა შექმნა წრიალი,

რა ნახეს, კარნი განიხვნეს, ქალაქით გახდა ზრიალი,

სამთავე სამგზით მიჰმართეს, თავსა მით უყვეს რიალი,

იკრეს ნობსა და დაბდაბსა, შეიქმნა ბუკთა ტკრციალი."

"Вдрук коней вперед рвануло, засвистели плети мигом, Кони врезалис, вес город огласился воем, визгом —

С трех сторон втроем ворвались, понеслился буйно с гиком, Гром атаки, бой литавров вмиг сменились с воплем, криком."

რა თქმა უნდა ორივე სტუმარმა გულწრფელი აღატაცება გამოიხატა.

—თუ მართლა მოგეწონათ, — თქვა ისევ ღიმილით სტალინმა, — მიიღეთ ჩემგან საჩუქრად, გამოიყენეთ თქვენს თარგმანში, ხოლო ჩემზე ნურაფერს იტყვი. საერთოდ მე, სიამოვნებით ვიკისრე თქვენი თარგმანის რედაქტორობა, ოღონდ ნურც ეს იქნება მოხსენიებული. თქვენი თარგმანი მე ყველაზე საუკეთესოდ მიმაჩნია — კარგი უნდა შეიცვალოს უკეთესით, — ეს უკანასკნელი ფრაზა უკვე რუსულად თქვა.

სტალინმა თავისი ნასწორები წიგნი გადასცა ნუცუბიძეს და უთხრა:

—ძალიან კარგად უნდა გამოსცეთ და, რაც შეიძლება, დიდი ტირაჟით, რომ მასებამდე მივიდეს.

„გოსლიტიზდატის“ იმდროინდელ დირექტორს, ჩავისაც მისწერა:

Тов. Чагину
Требую, чтобы всякое упоминание и о роли Сталина было исключено.

И. Сталин.

ჩავინი ამ წერილს თვალისჩინვით უფრთხილდებოდა, მის ცოლს კი ომის წლებში, ევაკუაციის დროს გულზე ეკიდა.

ჩავინმა შალვას უთხრა:

—თქვენ კიდევ უფრო დიდი კაცი იქნებით და მე ნუ დამივინყებთო.

—ამას წინათ, — ამბობდა სტალინი, — ჩემს რუს მეგობრებს წავუკითხე ქართულ ენაზე, ჩვეულებრივი დინჯი ტონით, ქაჯეთის ალბის სტროფი და შევეკითხე:

—აბა, რა გაიგეთ, მითხარით—მეთქი, ვოროშილოვმა მაშინვე თქვა:

—Понять то я не понял, но почувствовал, что там должна быть речь о битве.

მერე ისევ შალვას მიუბრუნდა:

—საინტერესოა, როგორ გადაწყვიტე გეთარგმნა რუსთაველი?

—როდესაც რუსთაველის 750 წლის საზეიმო დღისათვის შრომას რუსულად გამოსაცემად ვამზადებდი, — ამბობდა შალვა, — დავინახე, რომ შეუძლებელი იყო არსებული თარგმანების მიხედვით პოემის ციტირება, იმდენად დაშორებული იყვნენ ორიგინალიდან და გადავწყვიტე თავად მეთარგმნა ჩემთვის საჭირო სტროფები. მომიწონეს, შემაქვს და გაათამამებულმა გადავწყვიტე მეთარგმნა მთლიანად. გადავწყვიტე იმიტომაც, რომ რუსთაველის მსოფლმხედველობის პრობლემა არაა მხოლოდ ქართული კულტურის პრობლემა, იგი კაცობრიობის განვითარების და, კერძოდ, აღმოსავლეთდასავლეთის კულტურული ურთიერთობის პრობლემათა კომპლექსშია მოცემული. რუსთაველი მთლიან ქვეყნის პოეტია. მისთვის პირველადი იყო ეს მთლიანობა მოცემული. იგი ორგანულადაა დაკავშირებული ქართულ სინამდვილესთან, მისი პოემა პირდაპირი შედეგია იმ გონებრივი კულტურისა, რომელსაც ადგილი ჰქონდა XII ს. საქართველოში. საკითხის რეალურნიშვნელობა დაყენება კი მოითხოვს ქართული აზროვნების მთელი გზის შესწავლას. რუსთაველს უდავოდ დიდი წინაპრებიც უნდა ჰყოლოდა, ურომლისოდაც რუსთაველის შემოქმედება უნდადაგო აღმოჩნდებოდა. მეზუთე, მეშვიდე საუკუნეებშია საძიებელი ფესვები XII საუკუნეში ჩვენი კულტურის ალორძინებისა. თვით იოანე პეტრიწი ძველი ქართული ფილოსოფიური აზროვნების ტრადიციების შვილია. აქაა სინათლისა და ფერის პრინციპების წინა პლანზე წამოყენება, რომელიც შემდეგ რუსთაველმა მხატვრული ფორმამი გამოალვინა სრულად. ამასთან მთელი „ვეფხისტყაოსანი“, ჩასმულია ორ სტროფს შორის, რომელიც ნათელს ჰყვენს გრანდიოზულ გზასა და მომავალს, ესენია სტრ. 113 და სტრ. 1492.

„ჰე მეფეო, რად ემდურვი ანუ ღმერთსა, ანუ ბედსა,

რად დასწამებ სიმწარესა ყოველთათვის ტკბილად მხედსა?

ბოროტიმცა რად შეექმნა კეთილისა შემოქმედსა?“

ღმერთი კარგსა მოავლინებს, და ბოროტსა არ დაბადებს,

ავსა წამ-ერთ შეამოკლებს, კარგსა ხანგრძლად გააკვლადებს,

თავსა მისსა უკეთესსა უზადო ჰყოფს, არ აზადებს...“

პოეტი გამოხატავს თავის მიზანს, სიკეთის ბოროტებაზე გამარჯვების იდეას. ფილოსოფიური

1940 წლის ოქტომბრის კვირადღე იყო, ვიღაცამ ბინაზე მოაკითხა. მოსულმა მის შინაურ ტანისამოსს ახედ-დახედა და ჰკითხა: —უკეთესი არაფერი გაქვთ? —მაქვს უკეთესიც. — უპასუხა შალვამ და მოულოდნელ სტუმარს დააქცერდა. —აბა, გადაიცვით და წავედით, — თქვა მოსულმა. —ამ ამბავმა შალვა ცოტა შეაშფოთა. გზად სერგო ქავთარაძეს გაუარეს. ჩანდა, არც სერგომ იცოდა არაფერი და მანქანაში მუხჯურად, თვალებითა და ხელებით, მხრების აჩქრვით ეკითხებოდნენ ერთმანეთს, რა ხდებოდა. მანქანა კრემლთან შეჩერდა. ორივენი სტალინის თანაშემწესთან შეიყვანეს. —თქვენ ახლა წამობრძანდებით იოსებ ბესარიონის ძესთან, — ღიმილით თქვა თანაშემწემ. —თვალს არ უჯერებდნენ, გაღიმებული სტალინი რომ შემოეგება. პირველად ნუცუბიძეს გაუწოდა ხელი და ჰკითხა: —Вы будете профессор Нучубидзе? —Да, товарищ Сталин. это я. —უპასუხა მშვიდად ნუცუბიძემ. იგრძნო, სასიკეთო შეხვედრა იყო ეს. —Вас немножко обидели, но забудем, — თქვა სტალინმა და ანიშნა ორივეს დამსხდარიყვენენ. —То, что Вы сделали, это большое дело. — ისევ რუსულად წარმოთქვა სტალინმა და შემდეგ კი ქართულ საუბარზე გადავიდა. —თარგმანის ტექსტი ძალიან გაგიმართავს, ბრწყინვალეა, — თქვა სტალინმა და ხელში აიღო ტყავის კანში აკინძული სასიგნალო ეგზემპლარი „ვეფხისტყაოსანის“, ნუცუბიძისეული

მოძღვრება კი, რომელიც ასაბუთებს სიკეთის ბოროტებაზე გამარჯვებას – ნეოპლატონიზმი, რომელიც ქართულ აზროვნებაში შემოდის შუა საუკუნეებში ნეოპლატონიზმის პირველ გადამმუშავებლის, ფსევდო-დიონისეს მეშვეობით და შემდეგ განვითარებას პოულობს იოანე პეტრიწის ფილოსოფიაში. რუსთაველთან კი პირდაპირ დასახელებულია მოაზროვნე, რომლის მოძღვრებასაც ის ემყარება:

„ამ საქმესა დაფარულსა ბრძენი დივნოს გააცხადებს... და მე ვამტკიცებ, რომ ეს დივნოსი V საუკუნის ქართველი მოაზროვნე პეტრე იბერია, ფსევდო-დიონისე არეოპაგელის სახელით ცნობილი, არეოპაგიტული წიგნების ავტორი, რომელმაც ანტიკური აზროვნების მემკვიდრეობა მიიღო და იგი საშუალო საუკუნეებს გადასცა.

სტალინი ძალიან დაინტერესდა საკითხით. მან მშვენივრად იცოდა ქართული კულტურის ძირეული საკითხები, ბაკურისა და პეტრე იბერიის დროის ამბები და განაცხადა:

–მე სავსებით შესაძლებლად მიმაჩნია თქვენი აზრი, რომ პეტრე იბერი უნდა იყოს დიონისე არეოპაგელის ფსევდონიმს ამოფარებული.

სტალინი დაინტერესდა რენესანსის საკითხით და თქვა:

–ამ საკითხზე უნდა დაინეროს მონოგრაფია უმოკლეს ვადაში. განაგრძეთ ამ მიმართულებით მუშაობა და ნაშრომები გამოგიზავნეთ, – თან ჩაეცინა და თთქვა:

–ამდენი რამის გაკეთება თუ შეგეძლო, პოლიტიკაში რა გინდოდა!

ამ საუბრის შემდეგ სტალინი წამოდგა და ვხაშამზე მიიპატიჟა სტუმრები.

დარბაისელი მასპინძელი იშვიათ თავმდაბლობას იჩენდა.

თელიანით სავსე ყანით შალვამ სტალინის სადღეგრძელო შესვა.

სტალინმა ყანში გამოართვა და მაგიდაზე დადო.

–ჩვენებური გლეხი იტყოდა, – თქვა მან, – ეს ღმერთძალი რა ორატორი ყოფილაო!

შემდეგ სამადლობლო პატარა ჭიქით შესვა და დასძინა:

–კარგია თელიანი, მაგრამ მაინც გლეხური წესით დაყენებული კუპა-ჟირებული ღვინო მირჩვენია.

სუფრაზე სტალინი სულ ქართულად ლაპარაკობდა. კითხულობდა საქართველოს ცხოვრების ამბებს,

მაგრამ სტუმრებმა რომ უკვე ნაკლებად იცოდნენ სიახლენი, ისევ სტალინი ბევრს ისეთ რასმე ამბობდა, რაც მათთვის სულ ახალი და საინტერესო იყო. სტალინი იგონებდა სულ ადრინდელი პერიოდიდანაც, ეს მაშინ, როდესაც ქვეყნის საზღვრებთან დენტის სუნი ტრიალებდა.

ჩამოვარდა ლაპარაკი საშა წულუკიძეზე, მოიგონეს მისი სამგლოვიარო მიტინგი, მაშინდელი ახალგაზრდობა და სტალინმა თქვა:

–ერთი ახალგაზრდას გამოსვლაც კი დამახსოვდა, არც ვვარი ვიცი მისი და არც სადმე შემხვედრია.

შალვას გული აუჩქროლდა, წამოდგა და განაცხადა:

–თუ ის ახალგაზრდა, სამტრედიის ახალგაზრდობის წარმომადგენელი იყო, რომლის შესახებაც თქვენი აზრი ილია ბახტაძესაც გაუზიარეთ, მაშინ, ეს მე გახლავართ.

სტალინს სიამოვნებისაგან სახე გაუბრწყინდა:

–ადრე შემიტყვია მე შენი ღირსება. შენ ჩემს შემდეგ გამოსხვედი.

–მე თქვენი სიტყვა მოვისმინე და მახსოვს კიდევ, – თქვა ნუცუბიძემ და დაჯდა.

–საინტერესოა, – თქვა სტალინმა, – საინტერესოა, ერთი როგორ დაგახსოვდა.

შალვა წამოდგა, სკამი მაგიდას დააშორა და შემართულმა, სივრცეში მიპყრობილ მზერით წარმოთქვა:

„იმ დროს, როცა ამიერკავკასიის, და კერძოდ, საქართველოს პოლიტიკურ პორიზონტზე სრული სიბნელიე იყო ჩამონოლილი, გამორჩედა ორი ნათელი წერტილი. ერთი მათგანი იყო ლადო კეცხოველი და მეორე – საშა წულუკიძე. მათ დაიწყეს ამ ბნელის წინააღმდეგ ბრძოლა და მთელი მონინავე ძალები, ყოვლის უწინარეს, მუშათა კლასი, გამოეხმაურა ამ ბრძოლას და იგი თავის სამკვდრო-სასიცოცხლო მიზნად აღიარა.

ვერავმა სიკვდილმა მოგვტაცა ლადო კეცხოველი, მოულოდნელმა სიკვდილმა გამოგვაცალა საშა წულუკიძე. რა დაგვრჩენია ჩვენ, რა უნდა ვქნათ ჩვენ, როცა ჩვენს რიგებში აღარ არის ეს ორი ბრწყინვალე და თავდადებული მებრძოლი.

დღევანდელ საბრძოლო ვითარებაში ორივეს გარკვეული ადგილი ეჭირა. მათი გზა ჩვენი საერთო გზა იყო. ეს იყო რევოლუციის წაყვანა სწორი გზით, ყოველგვარი მიკიბულ-

მოკიბულობის გარეშე. პირდაპირ პროლეტარიატის გამარჯვებისაკენ. არავითარი დათმობა არავისათვის, არავითარი შეთანხმება ვინმესთან, რადგან ორივე ეს გზა ემუქრება პროლეტარიატის ინტერესებს და მოასწავებს ბერჟუაზიის საქმის გამარჯვებასა და მხარადჭერას.

საშას ცხედარი ჩვენს წინაშე – ლადო კეცხოველის მოგონებაა, რაც ჩვენს გონებაში ხმამაღლა გვეუბნება და გვიკარნახებს განვადრძოთ განუხრელად საქმე, რომელსაც ორივენი ემსახურებოდნენ, რომელსაც ორივემ უყოყმანოდ და უკანმოუხედავად შესწირა თავი.

რა დასკვნა გამოვიღოთ აქედან? ჩვენ გვევალება უყოყმანოდ ვიბრძოლოთ მუშათა კლასის იდეალების განსახორციელებლად. ეს ერთი. მეორე ის, რომ ჩვენ უნდა განვადრძოთ მათი დაწყებული ბრძოლა და მათი დაცემა ჩვენი ბრძოლის ამოსავალ წერტილად გამოვიყენოთ.

–შემდეგ, – სთქვა ნუცუბიძემ, – თქვენ მიუბრუნდით მენშევიკების წარმომადგენელს, მ. არსენიძეს:

„რა საქმე გაქვთ თქვენ აქ? მობრძანდით, საკუთარი თვალთ დარწმუნდით, რომ თქვენი მრისხანე მონინააღმდეგე აღარ არსებობს?

ამბობენ, რომ რუსეთის რევოლუცია – ბურჟუაზიული რევოლუციაა და, მაშასადამე, მის მიერ შექმნილი მთავრობა უნდა შეიცავდეს ბურჟუაზიის წარმომადგენლებსო. ეს დიდი შეცდომაა. ეს რევოლუცია – მუშურ-გლეხური რევოლუციაა და იგი მხოლოდ მშრომელთა წარმომადგენლებისაგან უნდა შედგებოდეს. კოალიციური მთავრობა მუშათა კლასის თვალის ახვევას, ყალბი ილუზიების შექმნას გულისხმობს. ერთი სიტყვით, ხალხის სანინააღმდეგო მთავრობაა. რევოლუციური პოლეტარიატი ასეთ მთავრობას ვერ დაუშვებს, ვერ მოითმენს, რადგან ის ხალხის ღალატს ვერ დაუშვებს.

სიტყვას ვდებთ, დაუფინყარო საშა, შენი ცხედარის წინაშე, ვიბრძოლოთ იმისათვის, რისთვისაც შენ იბრძოდი. გავა დრო და მოვალთ შენს საფლავზე, ომგადახდილი შენი ამხანაგები და ჩამოგძახებთ – იდეამ გაიმარჯვა...

სტალინი წამოდგა, მივიდა შალვასთან და უთხრა:

–ფენომენალურ ნიჭს ფენომენალური მეხსიერება ახლავს!

და შალვას შუბლზე აკოცა. ჭაბუკური დღეების გახსენებით სტალინი კიდევ უფრო გამხიარულდა და რადგან უკვე შუალამე გადასული იყო, სტუმრებს შესვენება შესთავაზა.

წამოშალნენ, მუხლი გამართეს, გაიარ-გამოიარეს დარბაზში და ციცი წყალიც შეისხეს, შესამშრალელებად კი თვითონ სტალინი, კარგი მასპინძელი გლეხივით, გამოსასვლელთან უცდიდა ხელზე გადაგდებული პირსახოცი.

განახლებულ სუფრაზე საუბარი უკვე მხოლოდ პოლიტიკურ თემას ეხებოდა; ოდესღაც გადასახლებულ ქართველთა დაბრუნების გეგმები ისახებოდა, ექვსმილიონიანი საქართველოს სადღეგრძელოები შეისმებოდა.

ირიჟრაჟა, ფანტასტური ღამეც დასრულდა. სტალინმა თავს სტუმრები თავთავიანთ ბინებში პურ-მარილით მიაცილა და მათანაც კიდევ ერთხელ დალოცა ქვეყანა და მეგობრობა, რითაც ეს შეხვედრა კიდევ უფრო გულთბილი გახდა.

სტალინი არ წყვეტდა „გოსლიტიზდატთან“, კავშირს „ვეფხისტყაოსნის“, გამოცემის პროცესში და შალვას უთვლიდა:

„ერთხელ კიდევ გადაიკითხე ტიხონოვთან ერთად, არაფერი გაგვეპაროსო...“

ამიტომაც ტიხონოვი და შალვა ნუცუბიძე მთელ თვეს თავაუღებლად კითხულობდნენ.

შალვამ ამ ამბის თხრობა რომ დაამთავრა, ერთმა თქვა:

–ბატონო შალვა, თქვენ ერთი კაცი თან უნდა გდევდეთ და თქვენს ნათქვამს ინერდესო.

–მდევს, აბა, არ მდევს! – სთქვა შალვამ, – მაგრამ შენ ეს იკითხე ვინ მდევს და რისთვის ინერს? თუ თავისასაც არ უმატებს, კიდევ მაღლობა ღმერთს.

ამის შემდეგ კიდევ ბევრს საინტერესო რასმე იტყოდა თავის წარსულიდან და ახლა მეორემ თქვა:

–დანერეთ, ბატონო შალვა, რასაც ამბობთ, კიდევ რამდენი რამე გეცოდინებათ, ყველაფერი ჭურში შეინახეთ. 500 წლის შემდეგ გათხრიან და ისტორიკოსნი მაღლიერებით მოგიხსენიებენ.

–ხუთი თვი სშემდეგ რომ გათხარონ? – უმალ მიუგო შალვამ და მხიარული სიცილით დაიშალნენ.

აკითხველთა საყურადღებოდ!

მონოდებული მასალების შინაარსზე და ფაქტების სისწორეზე რედკოლეგია პასუხს არ აგებს.

ყველა საგვარეულო კავშირს, ყველა წინამძღოლს, ყველას ვინც ერთგულია საგვარეულო მოძრაობის, ვინც საკუთარი გვარის პატრიოტია

გთხოვთ ითანამშრომლოთ გაზეთ „გვარი და ტრადიციასთან“, მოგვანოდეთ მასალები (სტატიები, ინფორმაციები, ფოტოები) საგვარეულო კავშირების შესახებ, საგვარეულო მოძრაობის, საქართველოს დემოგრაფიულ და სოციოლოგიურ, აგრეთვე ეროვნულობის და მართმადიდებლობის შენარჩუნებისა და განმტკიცების პრობლემატურ საკითხებზე, ვიზრუნოთ საგვარეულოთა კავშირის „გვარი და გვარიშვილობის“ და გვარის წინამძღოლთა დარბაზის მატერიალურ-ფინანსურ და ტექნიკური ბაზის განმტკიცება განვითარებისათვის. მასალები გამოგვიგზავნეთ **E-mail:vaja39@mail.ru**

ISSN 2449-2280
გაზეთის ელექტრონული ვერსია იხილეთ:
www.dspace.nplg.gov.ge

ჩვენი რეკვიზიტები:

სრულიად საქართველოს გვარის წინამძღოლთა დარბაზის ფონდი
ს/კ 404953154
ბანკი: „რესპუბლიკა“ ბანკი
ა/ა **GE51BR0000010385861378**

მისამართი: ქ. თბილისი, წმინდა სამების საკათედრო ტაძარი
საკონტაქტო ტელეფონები:
790770871; 593 531 950

სარედაქციო კოლეგია

ლევან ფრუჩია
პაპა ნადირაშვილი ტელ: 599 90-26-01
თინათინ მანუშაძე ტელ: 599 97-41-90
მერაბ ლეკვიშვილი ტელ: 577 41-02-00
ნინო სულამანიძე ტელ: 592 12-34-56

მისამართი: ქ. თბილისი, წმინდა სამების საკათედრო ტაძარი
საკონტაქტო ტელეფონი: **790770871**